

ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

,,განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად ნარვდგე შენდა და გეჩვენო შენ,,

2025 წელი 28 მარტი №3 (8214) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში გვ2,

ხელოვნების მერიდიანებზე გვ3,

გვ3, 2024 წლის ჰანორისმა

გვ5, მხოლოდ ფაქტები და თარიღები

მიკრორაიონის დასახლებაში გვ2,

საინტერესო ხელობის შემოქმედი გვ4,

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, ანუ შესანიშნავი ოთხეული გვ6,

კასპელი მობურთალნი გვ5,

გვ7, ოკამში, ხოვლეში, დოესში, წინარეხში

გვ2, გვ5,

ხსოვნა გულია – ,,დედავ, ცხოვრების დვრიტავ მაგარო,, ...

“ფრთიანი ფრაზები”

ბავშვობაში ნათქვამი ,,ფრთიანი ფრაზები,, დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ ოქროს ფონდში, თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში ,,კეხურა,, და გახდით რუბრიკის სტუმარი.

ოფიციალური ქრონიკა

პროგრამა –,,საფეხბურთო ყურადღება რეგიონებს,,

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე კასპში, “დინამო თბილისის” აკადემიის მიერ გახსნილი ჯგუფის მწვრთნელებსა და წევრებს დანიელ ბოლქვაძეს, ვაკო ბეჟიტაშვილს, ალი რუსტამოვს შეხვდა და ვილნიუსში ატიეტის თასზე მიმდინარე ფეხბურთის ჩემპიონატზე გააცილა.

2023 წლის ბოლოს კასპში, “დინამო თბილისის” აკადემიის მიერ პროგრამის - “საფეხბურთო ყურადღება რეგიონების ფარგლებში” ერთი სავარჯიშო ჯგუფი გაიხსნა. ჯგუფს კვალიფიციური მწვრთნელები შავლეგო მაჭარაშვილი და ნიკა ლეკვეიშვილი ავარჯიშებენ. მწვრთნელების, ბავშვების მონდომებამ და მერიის ხელშეწყობამ შედეგი მალევე გამოიღო.

საქართველოს 27 რეგიონში გახსნილი ფილიალებიდან საქართველოს 18 წევრიან ბავშვთა ნაკრებში 3 კასპელი დანიელ ბოლქვაძე, ვაკო ბეჟიტაშვილი და ალი რუსტამოვი იქნა შერჩეული.

მუნიციპალიტეტის მერმა მომავალ ფეხბურთელებს წარმატებები უსურვა და მგზავრობის თანხებიც დაუფინანსა. როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის მზადაა წარმატებული სპორტსმენების, სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის.

კასპელები ბრემენში

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე კასპის ჭიდაობის ჯგუფის მწვრთნელს სოსო მამულაშვილს და იმ მოჭიდავეებს შეხვდა, რომლებიც მონაწილეობას გერმანიის ქალაქ ბრემენში გამართულ მასტერსის ტურნირში მიიღებენ.

ვახტანგ მაისურაძემ გამგზავრების წინ ტურნირის მონაწილეებს წარმატებები უსურვა. როგორც მან აღნიშნა, მერია ყოველთვის მხარს უჭერს და ხელს უწყობს ნიჭიერ სპორტსმენებს წარმატებების მიღწევაში, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობასა და განვითარებაში.

მოჭიდავეების მგზავრობას მუნიციპალიტეტი აფინანსებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთთან მისასვლელ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაო მიმდინარეობს.

პროექტს შპს “საგზაო სამშენებლო სამმართველო 1” ახორციელებს. 1 657 გრძივ მეტრ გზაზე ასფალტ/ბეტონის საფარის პირველი ფენა უკვე მოაწყო.

მიმდინარე სამუშაოს გაეცნო კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე.

პროექტი რეგიონის განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სოფელში მისასვლელი გზის კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც სოფელში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი მდებარეობს, რომელსაც მრავალი ვიზიტორი ჰყავს.

კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ადგილობრივების და ვიზიტორების კომფორტულ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში

საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში, სოფელ მეფისქალაქში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

სამშენებლო პროცესი კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

თანამედროვე სტანდარტების 100 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით შენდება, რომლის ღირებულება 2 084 706 ლარია.

პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში მუნიციპალიტეტში 8 ახალი საბავშვო ბაღის აშენება და ერთის სრული რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი. დასრულებულია სამი ბაღის მშენებლობა და ერთის რეაბილიტაცია. სამუშაოები ამჟამად 5 საბავშვო ბაღში მიმდინარეობს.

მიკრორაიონის დასახლებაში

ქალაქ კასპში მიკრორაიონის დასახლებაში, მირიან მეფის ქუჩაზე მდებარე №1 და №2 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კვარტალური ეზოების კეთილმოწყობის სამუშაო გრძელდება.

მშენებელი კომპანია ასფალტ/ბეტონის საფარის მეორე ფენის დაგების სამუშაოს აწარმოებს, რომლის პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

საგზაო ინფრასტრუქტურა 1 331 გრძივ მეტრზე ეწყობა, რომელიც 16 კორპუსის ეზოს მოიცავს.

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს როგორც ქვეითად მოსიარულეთა, ასევე ტრანსპორტის კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით გადაადგილებას.

სოფელ ოკამში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

გზის სიგრძე 961 მეტრია, რომელზეც მშენებელი კომპანია შპს "ბილტმორი" ამჟამად მოსამზადებელ სამუშაოს აწარმოებს.

აღნიშნული გზის მოწყობა მნიშვნელოვანია, რომლითაც სარგებლობენ როგორც საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე სოფელ თეზის ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და პედაგოგები - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

ხსოვნა გულია - ,,დედავ, ცხოვრების დვრიტავ მაგარო,, ...

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა დედებს 3 მარტი, დედის დღე მიულოცეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა თითოეულ მათგანს მადლობა გადაუხადეს გმირი შვილების აღზრდისთვის, რომელთაც სიცოცხლე სამშობლოს დამოუკიდებლობას შესწირეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრსაც ეწვივნენ, სადაც სოციალურად დაუცველი ოჯახის დედები უფასოდ ეუფლებიან სპეციალობებს. მათ ვიზაჟის შემსწავლელი ჯგუფის წევრებს დედის დღე მიულოცეს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ხელოვნების მერიდიანებზე

2024 წლის ქრონიკა

მიმდინარე საუკუნის მესამე ათწლეულის მიწურულში კითხვაზე როგორია თანამედროვე ქართული ხელოვნება, პასუხის გაცემა ძალიან ჭირს. ამის მიზეზად უამრავი რამ შეიძლება დასახელდეს: ის, რომ საუკუნე ჯერ მხოლოდ იკრებს ძალებს, მუდმივი დაპირისპირებები, დაძაბულობა, სულ უფრო მზარდი ინფორმაციული ველი, ეკოლოგიური კატასტროფები და ამ სირთულეების დაძლევისთვის განხორციელებული უწყვეტი ქმედება. ხელოვნებაში, რომელიც ამ ეპოქის ქრონოლოგიური ნიშანდებით შევა ისტორიაში, ჯერ ისევ რთულია რაიმე კონკრეტული ტენდენციის, ხაზის, ან მახასიათებლის დასახელება.

აზრთა მდინარებას თუ გავყვებით, აუცილებლად უნდა გაიჟღეროს კითხვამ: საერთოდ საჭიროა კი თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე პროცესების ვერბალიზაცია, შემდგომი კლასიფიკაციის მიზნით?

ხელოვნების ისტორია უსასრულო შესაძლებლობების და ახალი სტანდარტების ძიების ნარატივია, სადაც ყოველი შემდგომი მიმდინარეობა არის მის წინამორბედზე უკეთესი.

მოგეხსენებათ, ხელოვნება ადამიანის აქტივობების ფართო ცნებაა, რომელიც გულისხმობს გამომხატველობითი ნამუშევრების შექმნას, ავტორის წარმოსახვის ან ტექნიკური ნიჭის გადმოცემას, რომლის მიზანია მშვენიერების ან ემოციური ძალის შეფასება. ხელოვნება ყველაზე უფრო განზოგადებული ფორმით გულისხმობს ხელოვნების ისტორიის შესწავლასა და ხელოვნების ესთეტიკის გავრცელებას, აღქმას.

მარტივად რომ ვთქვათ, ხელოვნების სასიკეთო შედეგია შთაბეჭდილება, დღემდე არ განელებული და სამუდამოდ ჩაბეჭდილი ჩვენს მეხსიერებაში.

ლექსიკონის განმარტებით "კულტურა" - ადამიანისა და საზოგადოების ფორმათა ერთობლიობაა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მათ კულტურას. რთული ცნებაა. ის საზოგადოებაში ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს და შეიძლება მატერიალურიც იყოს, როგორც, მაგალითად, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები, და ნაკლებად ნივთიერიც, როგორიც არის რელიგია და ტრადიციები.

კ უ ლ ტ უ რ ა მოიცავს ყველაფერს, რაც საზოგადოებას მემკვიდრეობით ან სოციალური გადაცემით აქვს მიღებული.

***

შარშანდელი წლის განმავლობაში, კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებაში შემომავალი მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მიერ გამართული შიდა, საქალაქო თუ მუნიციპალური, რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით მოწყობილი აქტივობებისა და ღონისძიებების თაობაზე სისტემატურად, მეტ-ნაკლები დოზირებით გვიხდებოდა საუბარი და ინფორმირება "ახალი განთიადის" ფურცლებზე.

გამოქვეყნებული მასალები არ გახლდათ ინფორმაციული შენიშვნები. ისინი აღწერდნენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე კულტურული შეხვედრების დადებით აქტივობებს, ინახავდნენ მონაწილეთა ისტორიებს. ეს ყველაფერი კი ქმნიდა თანამედროვე ცხოვრების სურათს, რომელიც ინახავს უტყუარ სინამდვილეს თუ როგორ ვერთვებით ქვეყნის კულტურული ცხოვრების მატიანეში, რამდენად ვზრუნავთ კათარზისის დადებითი მხარით განვითარებისთვის.

ქვემოთ ამჯერად ერთგვარი პანორამული სახით წარმოგიდგენთ წლიურ ანგარიშს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ორმხრივად: თვით ამ კოლექტივების წევრებისთვისაცა და მათი ქომაგებისთვისაც:

მარტი:

10 – გაერთიანებაში შემომავალი სტუდია "მზის სხივი" მონაწილეობდა სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ტურნირში "იმერეთის თასი – 2024" (ქ. საჩხერე);

21 – დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე 34 მოზარდისათვის მოეწყო გასართობი ღონისძიება (ქ. კასპი);

31 – აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ქართული ხალხური საკრავების მოზარდების ანსამბლი "თხოთი" მონაწილეობდა კონკურსში "იპოვე ვარსკვლავი შენი" (ქ. თბილისი).

აპრილი:

– ჩვენი გაერთიანების წარმომადგენელი 6-წევრიანი ჯგუფი წარდგა საერთაშორისო გამოფენაზე "ებიტ – 2024" (ქ. ბათუმი);

15 – გაერთიანების საყმაწვილო თეატრის "ფარდის მიღმა" დასი იმყოფებოდა ქ. რუსთავის გ. ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში სცენიური წარმოდგენით.

მაისი:

საბავშვო თეატრის "ფარდის მიღმა" ნორჩ მსახიობთა დასი მონაწილეობდა ქ. ჩილდრენის (თურქეთი) თეატრალურ ფესტივალში "არტსპრინგი – 2024". მისმა რამდენიმე წევრმა ინდივიდუალური პრიზები დაიმსახურა, ხოლო რეჟისორმა ეკატერინე ქვრივიშვილმა – მადლობის დიპლომი;

26 – გაერთიანების ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა მომღერლებმა, შემსრულებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქალაქო საზეიმო ღონისძიებაში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს (ქ. კასპი);

31 – შიდა ქართლის ტურისტული კავშირი "მეგზურის" მიწვევით ანსამბლი "მოურავი" მონაწილეობდა წლის ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში (ქ. გორი).

ივნისი:

ქ. თბილისის ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფის ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა "ნანინამ" შეხვედრა გამართა ქ. კასპის სამუსიკო სკოლასთან არსებული სალოტბარო სკოლის მოსწავლეებთან (ქ. კასპი);

9 – საქართველოს სამუსიკო სკოლების მე-8 რეგიონულ კონკურსში მონაწილეობდნენ ქ. კასპის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები;

20 – კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიოლოგიის წრის მოსწავლეებმა გასვლითი ხასიათის სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიება მოაწყეს სოფელ სამთავისსა და ქვემო ჭალაში;

21 – ამავე სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ მ ა ანალოგიური აქტივობა გამართეს სოფელ ნოსტესა და ერთაწმინდაში;

27 – ჩეხეთის ქ. კარლოვი-ვარის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში მონაწილეობდა და გაიმარჯვა სოფელ დოესის სამუსიკო სკოლის მოსწავლე მელანო ჯანჯალაშვილმა.

27-30 – ქ. კასპის ვაჟ მომღერალთა ფოლკლორული ვარსკვლავოსანი ანსამბლი "მოურავი" მონაწილეობდა ქ. ათენის (საბერძნეთი) საერთაშორისო ფესტივალში "საგანძური" და გახდა მისი მთავარი ჯილდოს მფლობელი;

ივლისი:

– ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული "სტუდენტური დღეები – 24"-ის მუსიკალური კონკურსის გამარჯვებულთა სამეულში მოხვდა ხატია მამულაშვილი – ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ქ. კასპის ბენდის წევრი, ქ. კასპის სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებული;

1 – აღაიანის სასოფლო კლუბის ქართული ხალხური საკრავების მოზარდთა ანსამბლი "თხოთი" მონაწილეობდა ქ. ბათუმში გამართულ ფესტივალში "ჩემი ლამაზი ქვეყანა – ბათუმი - 2024";

11 – ქ. კასპის სამეჯლისო და სპორტული ცეკვების სტუდია "მზის სხივი" მონაწილეობდა ქ. ბათუმის ფესტივალში "ბათუმის ზაფხულის თასი - 2024";

26 – საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის მიწვევით მუსიკალურ კონკურსში "ხალხური" გამოვიდა ანსამბლი "მოურავი".

აგვისტო:

12 – დიდგორის ბრძოლის 903-ე წლისთავის აღსანიშნავ სახალხო დღესასწაულში "დიდგორობა", რომელიც გაიმართა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მონაწილეობდნენ ჩვენი გაერთიანების ანსამბლები.

სექტემბერი:

29 – ქ. კასპში ჩვენი გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა ქართლური ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი;

31 – საქართველოს საგუნდო საზოგადოების მე-8 ეროვნული კონკურს-ფესტივალის მე-2 ტურში მონაწილეობდნენ ქ. კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საეკლესიო სიმღერისა და გალობის წრის მოსწავლეები.

ოქტომბერი:

6 – გაერთიანების შემოქმედებითმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახალხო დღესასწაულში "კასპობა";

13 – ქ. გორში გამართულ კონკურსში – "საქართველოს სამუსიკო სკოლების დათვალიერება სახელოვნებო განათლების რეფორმის ფარგლებში მათი საჭიროების აღწერის მიზნით" – მონაწილეობდნენ: ქ. კასპის, სოფელ ახალქალაქისა და დოესის სამუსიკო სკოლების მოსწავლეები;

17 – ომარ კელაპტრიშვილის სახელობის ქართული საკრავიერი სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანსამბლი "მოურავი" (ქ. კასპი) და "კავთურა" (კავთისხევი) – ქ. თბილისი, არტოს ბაღი.

დეკემბერი: 31 – მუნიციპალურ საახალწლო ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. კასპის მუსიკალურმა ბენდმა, კობა კრიჭაშვილის ხელმძღვანელობით.

საინტერესო ხელობის შემოქმედი

საქართველოში მცურავიშვილების გვარი ფრიად მცირერიცხოვანია. სულ ათიოდე ოჯახი თუ მოითვლება. წინაპრული ფესვებით გვარის წარმომავლობა ლიახვის ხეობასა და ქალაქ გორს უკავშირდება.

აი, ლეზურისპირა ქალაქ კასპში როდის დასახლდა პირველი მცურავიშვილი, აქურმა ოცდახუთი წლის თამაზ მცურავიშვილმა, დანამდვილებითა და შეუმცდარად, არ უწყის. მეხსიერების სკივრში შემონახული ამბები საკუთარი პაპის, უფროსი თამაზ მცურავიშვილის, სახიერების იქით აღარ მიუდის. იმას კი სიამაყითა და აღტაცებით გეტყვით, რომ პაპა თამაზი გასული საუკუნის 60-ანი წლების კასპში, როცა ისის იყო, ქალაქური დასახლების სტატუსი მიეღო, საკუთარი ხელგარჯილობითა და საქმიანობით ცნობილი ხელოსანი ყოფილა, სულაც გამორჩეული, მარჯვენადალოცვილი და ხელკურთხეული დურგალი, რომლის ნახელავს წუნი არ მოეპოვებოდა, ზადი არ დაჰყვებოდა, ათწლეულების განმავლობაში ჯერ კასპის ადგილმრეწველობის კომბინატის საავეჯო საამქროში ემუშავა, მერე კი მეტეხის საავეჯოში დაედინა ოფლი. აი, შინაურობასა და მეზობლობაში ხომ არა და არ გამოელეოდა საქმე, ყველას უშურველად უმართავდა ხელს... ჰო, მისი ნახელავი დღემდე შემორჩენიათ ოჯახში, სკივრს აქამდე არ დაუკარგავს არა თუ დანიშნულება, არც პეწი და სახე და ახალთაობელი მცურავიშვილები ისე ინახავენ, ვითარ სანუკვარ და ძვირფას რელიქვიას, სამუზეუმო ექსპონატს.

***

მზიანი ნათლით გასხივოსნებული დილა დადგა. თოთხმეტიოდე წლის ბიჭმა სახლის მეორე სართულიდან ჩამომავალი საფეხურები ხალისით ჩამოირბინა, ცალ მხარზე სასკოლო ზურგჩანთა გადაეკიდა და ეზოში შეყოვნდა. ჭიშკარში გასვლამდე ეზოს მწვანე კუთხეში ვარდის ბუჩქზე დარჩა თვალი, ახალდაკვირტულ ყლორტს პაწაწინა თავი გამოება და ფურცელ-ფურცელ გაშლას აპირებდა. ისეთი, ისეთი ნაზი და სალუქი ჩანდა, როგორიც ჩვილი ყმაწვილის სახის კანია. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, – თვალი მომცა და მაყურებინაო! ჰოდა, თამაზსაც მზერა ზედ შერჩა, თუ, პირიქით, ყვავილმა წარტაცა თვალი. იდგა მონუსხული ბიჭი და ლამის სკოლა გადავიწყებოდა...

– შვილო, თამაზ, სკოლაში წასვლა ხომ არ გადაიფიქრე? – რკინის სახელოსნოში მოფუსფუსე და მოკაკუნე მამამ გამოხედა და დრო შეახსენა, – სადაცაა ცხრა საათი შესრულდება.

ბიჭმა შინიდან სკოლამდე გზა ისე ყოჩაღად გაირბინა, როგორც არასდროს მანამდე. მერე, საკლასო ოთახში ფანჯარასთან მდგომი მერხიდან მინებსმიღმა ლურჯ ცისკიდურს გახედა და ლაჟვარდოვან კაბადონზე თითქოს ისევ ვარდის კოკორი გამოისახა – წითელგულა, ნაზფურცლოვანი...



–მცურავიშვილო, შენ კლასში ზიხარ, თუ ცაში დაფრინავ? – მასწავლებელმა მეცხრე ცამდე მიყუდებული კიბიდან ისევ დედამიწაზე დააბრუნა მეოცნებე მოსწავლე.

ჰოდა, პირველად, აი, მაშინ გაუჩნდა დაუოკებელი სურვილი, ფურცლოვანი თუნუქისათვის საკუთარი ხელით მიეცა სასურველი ფორმა და გადაექცია ვარდის ფურცლებად, რომლებიც იქნებოდა სიფრიფანა, თხელი, ნაზი, ისეთივე ნატიფი, როგორიც ცოცხალი, ნამდვილი ვარდისა.

შინ დაბრუნებულმა თამაზმა მამის სახელოსნოს მიაშურა და თუნუქის ნაჭერი გამოსთხოვა, თან ხელები დაიკაპიწა მისებურად.

მაშინ ხელმარჯვე მცურავიშვილების მეორეთაობელი კაცი მიხვდა, რომ უკვე მომდევნო თაობის წარმომადგენლის რიგიც მოსულიყო, ოჯახური და დინასტიური საქმიანობა მას უნდა გაეგრძელებინა. ვის-ვის და მას, კასპის ცემენტის ქარხნის ზეინკალ-შემკეთებელს, ნაცად და პირადი დამღით მომუშავე ოსტატს, აბა, რა უნდა ჰქონოდა საწინააღმდეგო, ვაჟიშვილიც თუ "რკინის კაცად" მოინათლებოდა, ვინც ლითონს აამეტყველებდა, სულს ჩაუდგამდა, სასურველ ნაკეთობად გარდაქმნიდა...

თავდაპირველად თითქოს შინაგანმა შიშმა შეიპყრო და წარმოუდგენლად მიიჩნია, მაგრამ ოთხ-ხუთ დღეში სასურველ მიზანს მიაღწია. აი, მაშინ კი საოცარმა აღტაცებამ შეიპყრო, როცა ვარდს სული შთაბერა, შინ თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა, თითქოს გარეშეთა თვალს მოარიდა. მაგრამ ახალმა ამბავმა თავი თვითონვე არ დამალა. რკინის ვარდი! – როგორია? რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველივე ნახელავი კარგი გამოუვიდა. თვითონვე ხომ მოეწონა და, როგორც აღმოჩნდა, სხვებსაც. ჰოდა, წახალისდა და ახალი ჩანაფიქრები მოეძალა, წითელ ვარდებს შავი ფერისა მიაყოლა...

ის კი, პირველი თავმოსაწონი ნაკეთობა კარგახანს შემოინახა შინ, ვიდრე, ერთხელაც, არ შეიტყო საქმიანი პროექტის – "გახდი ახალგაზრდა მეწარმე" – გამოცხადების შესახებ და დაებადა სურვილი, გამხდარიყო მისი მონაწილე. სათანადო განაცხადს თავისი სადებიუტო ნამუშევარიც დაურთო და, ასე და ამგვარად, თბილისიდან გამოჩნდა სამომავლო სამოქმედო გზა – რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის 10.000-ლარიანი დაფინანსება მოიპოვა.

ამის შემდეგ გრანტ-პრიზიორი წითელი ვარდი ავტორმა შინ აღარ დაინარჩუნა და გააჩუქა. ოღონდ, ვის დაუთმო თუ მიართვა, მოდი, ეს ამბავი მის პირად საიდუმლოდ დარჩეს. მან თავისი წილი სიკეთე თუ მოუტანა პატრონს და, ნამდვილად განგების ნებით, ამჯერად ადგილი უნდა დაეთმო სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ნაკეთობისათვის, რომელსაც ახალგაზრდა "რკინის კაცი" შექმნიდა და, ისიც, თურმე, სვებედნიერების სვეტად შემოვიდოდა შემქმნელის ცხოვრებაში.

***

თამაზ მცურავიშვილი – ინდივიდუალური მეწარმე და შემოქმედი, ლითონნაკეთობათა ოსტატ-ხელოსანი:

- ჩემი ცხოვრებისეული არჩევანი ბავშვობისდროინდელმა დიდმა გატაცებამ განაპირობა. შემდეგ კი წლობით საქმიანობამ განამტკიცა. უკვე 10 წელზე მეტია, რაც რკინის დამუშავებას მივდევ და ჭედურ ნაკეთობებს ვქმნი.

პატარაობიდანვე ვუყურებდი, როგორ მუშაობდა მამაჩემი რკინაზე. დამაინტერესა, როგორი იყო საამისო პროცესი და რამდენად შესაძლებელი, დამემზადებინა სასურველი ფორმისა თუ დიზაინის ნაკეთობა. წამოვიზარდე და აქტიურად დავიწყე ამ საქმიანობის შესწავლა, თანდათან გავითავისე ტექნოლოგიური ნიუანსები და შევქმენი ნაირგვარი ფორმისა და დიზაინის თარგები.

იმან უფრო წამახალისა, პირველი ნაკეთობები მნახველმა რომ მომიწონა. მორწმუნე ქართველი გახლავართ და, პირველნახელავი ყვავილების შემდეგ, რკინისავე ეკლესია გავაკეთე. მას მივაყოლე საკარმიდამო ეზოს დეკორატიული ფასადი, კარი და მოაჯირი, ბუხრის აქსესუარები. მერე შანდლები და სასანთლეები დავამზადე, კიდევ სხვა ნივთებიც – ყველა პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

ასე წაება საქმე და ჩემმა ნაკეთობებმა მნახველის მოწონება დაიმსახურა, გამოჩნდნენ შემკვეთები. ერთი სიტყვით, კასპელი "რკინის კაცის" ამბავი ხალხში გახმაურდა.

სადღეისოდ რკინის ნაკეთობები, თუ კი ისინი სახელოვნებო და დეკორატიული გაფორმების თვალსაზრისით გამოიყენება, საქართველოში მეტად პოპულარული გახდა. მათი შეძენის მსურველები ყველგან და ბევრგან გამოჩნდნენ. ჰოდა, დავიწყე რეალიზება, იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე სხვა რეგიონებშიც.

... 2019 წელს მიღებული საგრანტო თანხით შევიძინე გერმანული წარმოების დანადგარები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია თანამედროვე ფერადი და შავი ლითონების დამუშავება. მანამდე თუ ხელით, პრიმიტიული წესითა და დიდი ძალისხმევით მიხდებოდა მათი დამუშავება, ახლა გაცილებით გამიმარტივდა კეთება-შექმნის პროცესი, ნაკლები ძალისხმევით შემიძლია გაცილებით ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ნამუშევრების დამზადება. ჰო, კიდევ, ოჯახის ხელშეწყობით გავაფართოვე სახელოსნო და შევიძინე ავტოსახელოსნო.

ამასთან, ვცდილობ, ამ საქმეში ჩავრთო ბევრი ადგილობრივი ახალგაზრდა. დაინტერესებული ჯგუფებისათვის ვატარებ მასტერკლასებს და ვასაქმებ კიდეც. ასევე, ვასწავლი კასპის ტექნოპარკში.

ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის მომავალი თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, ეს კი ბავშვობიდან უნდა გაითავისოს ყველამ.

***პირველი საგრანტო პროექტის ფარგლებში გამარჯვებიდან 3 წლის შემდეგ იყო მეორე წარმატებაც – "აწარმოე საქართველოში" (2022 წელი). თამაზმა მასში მონაწილეობის მიღებისას სადემონსტრაციოდ იახლა საკუთარი ხელით აწყობილი და დამზადებული ... ეიფელის კოშკი.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ნარკვევის გმირი ბავშვობიდანვე დაინტერესებულია ფრანგული კულტურით, მაგრამ დღემდე ვერ განახორციელა სანუკვარი ოცნება – საკუთარი ფეხი დადგას და იხილოს პარიზის დიდებულება, დატკბეს მისი ღირსშესანიშნაობებითა და კულტურის ძეგლებით. მაგრამ, ვინაიდანა და რადგანაც, თავისი გეგმები სისრულეში ვერ მოუყვანია, საფრანგეთის დედაქალაქი თვითონ ისტუმრა თავის კასპში, ანუ, საკუთარი ხელით შექმნა ჯერ მონახაზი და სამოქმედო ესკიზი პარიზის ყველაზე ცნობილი სიმბოლოსი.

ახლა მზა "თამაზის კოშკი" სიმაღლით 1,40 მეტრია, დამზადებულია ფოლადის ფურცლისაგან და იწონის 7-8 კილოგრამს.

სხვათა შორის, საფრანგეთის თემა აქამდე არ ასვენებს და დღენიადაგ უტრიალებს მხატვრულ ჩანაფიქრებს. კერძოდ, პარიზული ლუვრის მუზეუმისა და ტრიუმფალური თაღის ესკიზებს ამუშავებს, ხვეწს, ანგარიშობს, უკირკიტებს, უკვე ამ, გაზაფხულ-ზაფხულისათვის აპირებს ლითონში მათ "გაცოცხლებას". თანაც, როგორც ეიფელის კოშკს, მათაც სიმეტრიულ ზომებში განახორციელებს, მოაქცევს.

მერე კი... მერე, უთუოდ ახდება კასპელი "რკინის კაცის" ფრანგულ-პარიზული ოცნება და ეიფელის კოშკზეც მოხვდება, ხელში ვარდების წითლად ბრდღვიალა თაიგულით და იქიდან სათითაოდ გადმოშლის სენას სანაპიროზე, რამეთუ ის, რაც გულით მოუწადინებია, ცხადლივაც ახდენია ხოლმე.

ისე, ნეტა, ხომ არ მოხდება ეს ახლო სამომავლოში "თაფლობის თვის" მოგზაურობისას, მისივე გულისსწორის თანხლებით?!

***

აქამდე არაფერი გვითქვამს თამაზ მცურავიშვილის ძირითადი პროფესიისა და დასაქმების თაობაზე:

მან წარმატებით დაამთავრა ქ. კასპის სკოლა-გიმნაზია, ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის სპეციალობას დაეუფლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამჟამად კომპანია "ჰანიველცემენტის" კასპის ცემენტის ქარხნის ინჟინერ-ინსპექტორია.

ის მშობლიურ ქალაქზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდაა. საკუთარი ხელნაკეთობებით – ლითონის ხეივნით, კარ-ფანჯრებით – დაუმშვენებია ქალაქის თითქმის ყველა საეკლესიო ნაგებობა და მათი ფასადები, ეზო-შემოგარენი.

***აი, ასეთია ჩვენებური ერთი რიგითი წარმატებული ახალგაზრდის კონკრეტული გზასავალი, ყოველდღიური საქმიანობა.

იგი მიმდევარი და განმახორციელებელია საკუთარი ცხოვრებისეული დევიზისა:

– ყველა ადამიანს გააჩნია რაიმე სიკეთის კეთების უნარი. მთავარია, ეს უნარი აღმოვაჩინოთ საკუთარ თავში!

ვინ-ვინ და მან ეს შეძლო.

მხოლოდ ფაქტები და თარიღები

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში ამჟამად 29 საბავშვო ბაგა-ბაღი შემოდის. ქ. კასპის ტერიტორიაზე მოქმედებს 5, სოფლებში – 24.

ქ. კასპის პირველი საბავშვო ბაღი გაიხსნა 1966 წლის სექტემბერში. ამდენად, საგაისოდ მას დაარსებიდან 60 წლისთავი შეუსრულდება. ხანდაზმულობით მეორეა კასპის მეორე ბაღი – გაიხსნა 1969 წლის სექტემბერში. რიგითობის მიხედვით სხვათა თარიღები ასეთია: მესამე ბაღი მოქმედებს 1974 წლის სექტემბრიდან (ანუ, მას შარშან ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ჰქონდა), მეოთხე – 1977 წლის აპრილიდან, ხოლო მეხუთე – 1986 წლის ნოემბრიდან.

მიმდინარე წლის განმავლობაში საიუბილეო, ე. წ. "მრგვალი" და "ნახევრადმრგვალი" თარიღი უსრულდება რამდენიმე სასოფლო საბავშვო ბაღს. ასეთთაგან, უპირველესად, გამოსაყოფია ორი სოფლისა – სამთავისისა და ახალქალაქის (აწ მეფისქალაქის) პირველი ბაღები. მათი დაარსებიდან 2025 წლის სექტემბერში სრულდება, არც მეტი და არც ნაკლები, 100-წლოვანი თარიღები! სწორედ რომ აღსანიშნავი და საზეიმო ამბავია!

წლევანდელ სექტემბერში გახსნიდან 90-წლისთავი შეუსრულდება სოფელ მეტეხის საბავშვო ბაღს, 85-წლისთავი – სოფელ მეფისქალაქის მეორე საბავშვო ბაღს, 65-წლისთავი – ქვემო ჭალისა და ოკმის ბაღებს, 55-წლისთავი – დოესისა და სასირეთისა.

მოქმედების ხანგასულობით ერთ-ერთი ნაკლებთა-არიღოსანია სოფელ ფერმის საბავშვო ბაღი. იგი მხოლოდ 20 წლის წინ გაიხსნა. სრული ამ პერიოდის განმავლობაში იგი თავშეფარებული იყო დაქირავებულ შენობაში (სოფლის უწინდელ დაწყებით სკოლაში). და, აი, ფრიად სასიხარულო ფაქტი: 2025 წლის დასაწყისში სოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ ახალბაღობა გადაიხადა!

სოფელ ჩანგილარში ახალი ბაღი გვაქვს

ლორინა ჩიტაშვილი – საბავშვო ბაღის გამგე (ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში, ჩანგილარსა და ფერმაში მოქმედი საბავშვო ბაღის უცვლელი ხელმძღვანელია, მისი დაარსებიდან დღემდე):

– ყველასათვის ცნობილია, რომ ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა თანაცხოვრება სხვადასხვა ეროვნების ხალხთან.

ოკამის საკრებულოს მეზობელი სოფლების ფერმისა და ჩანგილარის მოსახლეობა მუსლიმი აზერბაიჯანელებისგან შედგება.

წლების განმავლობაში ენობრივი ბარიერი ართულებდა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობას. აღნიშნული სოფლების მოსწავლეებს ქართულენოვან სკოლაში უწევთ სწავლა. სწავლის პროცესი სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან სოფლებში არ არსებობდა საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები შეისწავლიდნენ ქართულ ენას.

ასეთ გარემოებაში გამოიკვეთა აუცილებლობა ქართულენოვანი საბავშვო ბაღის გახსნისა.

2005 წლის მარტში ოკამის საკრებულოს მაშინდელმა გამგებელმა, ნუკრი ხრიკულმა, მიმართა კასპის რაიონის გამგებელს, გენადი ხაჩიძეს. მისი თანადგომით გამოიძებნა სახსრები და ამავე წელს სოფელ ფერმის ერთ-ერთი მაცხოვრებლის კერძო სახლში გაიხსნა საბავშვო ბაღი.

თავდაპირველად სოფლის მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებდა ამ საქმეს, მაგრამ ადგილობრივი სკოლის დირექტორის დავით ქოთოლაშვილის, პედაგოგების შახალ ისმაილოვის და რაშიდ მამედოვის თანადგომით ყველა სირთულე დაძლეული იქნა და ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო.

ბაღი დაკომპლექტებული იქნა ქართველი პერსონალით, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ ჩვენი პატარა აღსაზრდელები ქართულ ენას დაეუფლნენ. გარდა ამისა, რეგულარულად ტარდებოდა სხვადასხვა შემეცნებითი და სასწავლო ხასიათის ღონისძიებები. ამის შედეგად ბაღის აღსაზრდელები სკოლაში მისვლამდე ფლობდნენ ქართულ ენას, რაც დადებითად აისახა სასკოლო სწავლების ხარისხზეც.

აი, ასე, 20 წლის განმავლობაში ჩვენი ბაღი ფუნქციონირებდა სხვადასხვა კერძო შენობაში.

თანდათან იკვეთებოდა თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის საჭიროება.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ მაისურაძის ინიციატივით ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნა ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სულ ახლახან, 2025 წლის 10 თებერვალს, სოფელ ჩანგილარში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა. იგი ემსახურება ორი სოფლის – ჩანგილარის და ფერმის მოსახლეობას.

ფეხბურთი
კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება

კასპელი მობურთალნი

ბექა დაბრუნდაშვილი – კასპის საფეხბურთო სკოლის მენეჯერი:

ფეხბურთის თამაში დაიწყო ბავშვობიდანვე. შეიძლება ითქვას, რომ ბურთს იმ დროიდან აგორებს, როცა სკოლის მერხს მიუჯდა. მისი პირველი მწვრთნელია შავლეგო მაჭარაშვილი. გამოდიოდა კასპის ყველა ასაკობრივ გუნდში. თამაშობდა საქართველოს სხვადასხვა რანგის ლიგებში და იცავდა შემდეგი კლუბების ღირსებას: კასპის "განთიადი", თბილისის "ლოკომოტივი", თენგიზ სულაქველიძის აკადემია (თსა), გორის "დილას" ასაკობრივი და უფროსთა გუნდები.

2019 წელს უფროს ძმასთან, გიორგისთან, ერთად ჩამოაყალიბა "კასპი – 1936"-ის საფეხბურთო გუნდი, რომელიც უცვლელად მონაწილეობს საქართველოს პირველობის რეგიონული ლიგის გათამაშებებში. მის რიგებში თამაშობდა მოთამაშე-მწვრთნელის ამპლუაში და იყო გუნდის კაპიტანი.

აქტიურ საფეხბურთო კარიერას თავი დაანება შარშან, თუმცა გული ისევ მოედნისაკენ ერჩის და, როგორც თვითონ ამბობს, – კედელზე ბუცების ჩამოკიდება ჯერ ნაადრევია. დღესაც მშობლიური ქალაქის გუნდის მწვრთნელია.

კასპის საფეხბურთო სკოლის მენეჯერია 2023 წლის ბოლოდან.

***

2024 წლის კალენდარული საფეხბურთო სეზონის განმავლობაში ჩვენი სკოლის მოსწავლე-ფეხბურთელთა ასაკობრივმა ჯგუფებმა მეტნაკლები წარმატებით იასპარეზეს რესპუბლიკური მასშტაბის პირველობებზე. ქვემოთ კრებსითი სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას მათი მონაწილეობის შესახებ:

კასპის საფეხბურთო სკოლის სახელით ყველაზე მეტი – 5 – გუნდი გამოდიოდა აფხაზეთის ფედერაციის პირველობაზე. მათგან 2 გახდა პირველობის ჩემპიონი, ხოლო ამდენივე – მეორე პრიზიორი.

"განთიადი - 10" – გუნდის მწვრთნელია გიორგი ილურიძე. მას საზოგადოებრივ საწყისებზე მთელი სეზონის განმავლობაში ეხმარებოდა ვაჟიშვილი, თემურ ილურიძე. მამაშვილმა მშვენივრად იმუშავეს, ფაქტი სახეზეა: "განთიადი – 10"-მა 17 თამაშიდან 14 მოიგო და მხოლოდ 2 წააგო. 10 გუნდს შორის გაიტანა ყველაზე მეტი და გაუშვა ყველაზე ნაკლები ბურთი (შესაბამისად, 79 და 14) და პირველი ადგილი დაიკავა 43 ქულით. გამარჯვება მით უფრო ფასეულია, რომ ყველა მეტოქედ დედაქალაქური გუნდები ჰყავდა, გარდა ერთისა.

ეს ერთი კი ისევ ჩვენი სკოლის გუნდია – "სამთავისი" (მწვრთნელი დავით კობაური). სოფლის გუნდის კვალობაზე მისი შედეგი დამაკმაყოფილებელია – მე-8 ადგილი თბილისურ გუნდებთან პაექრობაში.

"განთიადი - 11" – გუნდის მწვრთნელი შავლეგო მაჭარაშვილი: მისმა ბიჭებმა წარმატებით განვლეს სეზონი და პირველი ადგილი დაიკავეს. საპლეიოფო თამაშებიც კარგად წარმართეს: მეოთხედფინალში ორივე მატჩი მოუგეს მცხეთის "მუხრანს" (1:0 და 3:0), ნახევარფინალში სძლიეს თბილისის "თემს" (1:0 და 2:0), ხოლო ფინალური თამაში 1:0 მოუგეს თბილისის "ირაოს" და ისე, რომ ამ ეტაპზე საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვიათ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ჩემპიონობა მოიპოვეს.

"განთიადი - 12" – მწვრთნელი მალხაზ ჯალალი: ამ ასაკის ფეხბურთელთა გუნდების გათამაშებაში, როგორც წესი, ევროპის ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად, ადგილები არ გამოიყვანება. თუმცა, პირველობის ორგანიზატორი, ანუ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ყოველი ტურის შედეგებს თავის საიტზე დებდა, რომლის მიხედვით ჩვენი სკოლის მეთოდისტმა ავთანდილ ჯალალმა საკუთარი ინიციატივით შეადგინა აღნიშნული პირველობის ცხრილი. აი, აქედან კი ჩანს, რომ საერთო შედეგებით ჩვენმა გუნდმა დუშეთის "არაგვის" შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქ. დუშეთში მოქმედებს ფეხბურთის აკადემია, დუშეთელთა წარმატება უნდა ვაღიაროთ, ხოლო ჩვენს 12-წლიან განთიადელებს ეს შედეგი წარმატებად ჩავუთვალოთ, მათ ხომ შესაძლებელ ქულათა 75,7 პროცენტი მოაგროვეს.

"განთიადი - 13" – მწვრთნელი ნიკა ლეკვეიშვილი: ადგილები არც აქ გამოიყვანება, მაგრამ მანაც წარმატებით ითამაშა და თბილისის "სანზონა – 2018"-ის შემდეგ მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა, ქულების 79,6 პროცენტი დადო. ეს ნამდვილად მეტყველებს ახალბედა მწვრთნელის მონდომებულ და ენერგიულ მუშაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდებმა აფხაზეთის

დასასრული გვ-8.

მათ უნდა ვიცნობდეთ

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, ანუ შესანიშნავი ოთხეული

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის (კონკრეტულად კი ჭიდაობის) ისტორია თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუყრელად არის დაკავშირებული მათ სახელებთან. ამ საქმეში მათი ამაგი და დამსახურება თვალსაჩინოა და უდიდესი.

ჭაბუკობის წლებიდანვე მათეული ჭიდაობის მანერა, მაღალი ტექნიკა და საშემსრულებლო ოსტატობა მუდამ მისაბაძი იყო. ესენი არიან გასული საუკუნის 60–70-იანი წლების იმ სახელოვანი და გამოჩენილი ქართველი მოჭიდავეების პლეადის ღირსეული წარმომადგენლები, ვინც უდიდესი წარმატებები და სახელი მოუტანა ქართულ სპორტსა და მთლიანად ქვეყანას შიდა ჩემპიონატებსა თუ საერთაშორისო მასშტაბის უდიდესი დონის ასპარეზობებში.

ჭიდაობის სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს, შინ თუ საქართველოს ფარგლებში, კარგად გვახსოვს მათი შემართული ჭიდაობა და უზადო ტექნიკა საჭიდაო წრეებში დემონსტრირებისას, უცხოეთის დარბაზებში. ისინი, ერთი შეხედვით, თითქოს ჰგავდნენ სხვებს, მაგრამ, იმავდროულად, გამორჩეული იყვნენ სხვებისაგან, ყველასაგან. ისინი მხოლოდ საკუთარ თავს განასახიერებდნენ.

მადლიერმა მაყურებელმა სწორედ ამიტომ შეიყვარა ისინი ყველგან, სადაც კი უასპარეზიათ, სადაც კი საჭიდაო ჩოხით გამოჩენილან. დიდ ყურადღებასა და პატივს მიაგებდნენ ჭიდაობა ძიუდოსა და სამბოს, მაგრამ როგორ არ აღვნიშნოთ, როცა მათი გულები ეკუთვნოდა, უპირველესად, ჩვენს ეროვნულ, ისტორიულ, ტრადიციულ სახეობას ჭიდაობისა.

ისინი დღეს, წლების გადასახედიდან, უთუოდ იმსახურებენ მადლიერებასა და პატივგებას ჩვენგან, ჭიდაობის მოყვარულებისა და გულშემატკივრებისაგან.

აღსანიშნავია, რომ ორ მათგანს წლევანდელ თებერვალში ჰქონდა დაბადების დღე: დავით ბერძენიშვილს 2 თებერვალს შეუსრულდა "მრგვალი" საიუბილეო თარიღი – 70-წლისთავი, ხოლო ჯემალ ხორბალაძეს "შვიდიანით" დამშვენებული – 77-წლისთავი. აი, კიდევ ორს კი, იოსებ მაღალაშვილსა და ამირან ობგაიძეს სექტემბერში უსრულდებათ 73-73 წელი.



იოსებ მაღალაშვილი

დაიბადა 1952 წლის 2 სექტემბერს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში.

სპორტული მიღწევები: საერთაშორისო – 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი (ჭიდაობა სამბო. ქ. ულან-ბატორი, მონღოლეთი), 1975 წლის ვიცე-ჩემპიონი (ქ. მინსკი, ბელარუსი), 1977 წლის მსოფლიო თასის მფლობელი (ქ. ოვიედო, ესპანეთი), არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი (ინგლისი, იაპონია, მონღოლეთი...);

საკავშირო – ყოფილი საბჭოეთის 5-გზის ჩემპიონი (1974, 1975, 1976, 1977 და 1979), ვიცე-ჩემპიონი (1978) და მე-3 პრიზიორი, ასევე, თასის მფლობელი; სსრკ-ის ხალხთა მე-6 და მე-7 სპარტაკიადების გამარჯვებული (1975 და 1979);

ქვეყნის ჩემპიონია, აგრეთვე, თავისუფალ ჭიდაობაში (1973);

საქართველოს 7-გზის ჩემპიონი (სამბოში). წოდებები: სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში (1970), სამბოში (1974), ქართულ ჭიდაობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1979) სამბოში.

აღიარება და დაფასება: – 1974 წელს დასახელდა საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის სიაში (კასპის რაიონის სპორტის ისტორიაში პირველი სპორტსმენია, ვისაც ასეთი პატივი ერგო),

– 2013 წლის ზაფხულში სოფელ მეტეხში გაიხსნა იოსებ მაღალაშვილის სახელობის საჭიდაო არენა,

– მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 6, გვ. 502), ხოლო ფოტო, როგორც მსოფლიო ჩემპიონისა, გამოფენილია თბილისში, ქართული სპორტის მუზეუმში,

– უკრაინელი ჟურნალისტის, იან დიმოვის, წიგნში "საქართველოს ფალავნები" (დაბეჭდილია ქართულად, 1987 წელს) შეტანილია მასზე დაწერილი მხატვრული ნარკვევი "თავნება იოსები" (გვ. 216-20).

აქტიური ჭიდაობის 10-წლედი: 1970 წელს, 18 წლისა, თავისუფალ ჭიდაობაში გახდა ქვეყნის ჩემპიონი. 1979 წელს სამბოში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა და ... 27 წლის ასაკში ჭიდაობასაც დაემშვიდობა. ცხოვრობს სოფელ მეტეხში.



დავით ბერძენიშვილი

დაიბადა 1955 წლის პირველ თებერვალს კასპის რაიონის სოფელ დოესში.

სპორტული დოსიე:

– საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი (ჭიდაობა ძიუდოში, სამბოში, ქართულში – გასული საუკუნის 70-იანი წლები);

– ევროპის ჩემპიონი ძიუდოში (ჭაბუკები, 1973);

– კასპელი მოჭიდავეებიდან სსრკ-ის პირველი და ერთადერთი ჩემპიონი ძიუდოში (უფროსები, ქ. ბაქო, აზერბაიჯანი, 1977);

– სსრკ-ის ხალხთა მე-7 სპარტაკიადის მე-2 პრიზიორი (მოსკოვი რუსეთი, 1979);

– არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (რუმინეთი, უნგრეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია...).

უმაღლესი სპორტული წოდება – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1977).

ამბავი იაპონიაში ერთი გამარჯვებისა:

1979 წლის სექტემბერში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდმა არამარტო მასპინძლების, არამედ ყველასათვის მოულოდნელად, "ამომავალი მზის ქვეყანაში" მოიპოვა სახელოვანი თანამემამულის – ანზორ კიკნაძის სახელობის გუნდური პრიზი. ქართველები იქ მიიწვია ცნობილმა იაპონელმა მოჭიდავემ, ისაო ინოკუნამ, თავისი მეგობრის ხსოვნის არაოფიციალურ შეჯიბრებაში, აი, ამ გუნდის შემადგენლობაში იყო დავით ბერძენიშვილიც. მის გარდა კი იმხანად გუნდში გამოდიოდნენ: ოლეგ ზურაბიანი, თამაზ ნამგალაური, შოთა ხაბარელი, თამაზ ხარშილაძე, თემურ ხუბულური და დავით ჩალაური.

მოგეხსენებათ, იაპონელების საშინაო კედლებში ტატამზე ძლევა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, მაგრამ ეს დღეისათვის ისტორიული ფაქტია და, ამდენად, დაუვიწყარიც.

ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში.

ამირან ობგაიძე

დაიბადა 1952 წლის 15 სექტემბერს კასპის რაიონის სოფელ იგოეთში.

სპორტული კარიერა:

ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში (გუნდურ ჩათვლაში, გერმანია, 1977), ყოფილი საბჭოეთის ჩემპიონატების 2-გზის მე-3 პრიზიორი (1974 – ქ. რიგა, ესტონეთი; 1976 – ქ. მოსკოვი, რუსეთი. ორივეჯერ 63 კილოგრამის კატეგორიაში); ასევე, თასის მფლობელი, საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში – 1976 (იმ წელს ნაკრებში ირიცხებოდა კასპელი სამი მოჭიდავე: ამირან ობგაიძე, დავით ბერძენიშვილი და ნოდარ ნუგზარიშვილი, მათ გარდა – ოლეგ ზურაბიანი, ბერდია გუგავა, აბესალომ წიკლაური, გურამ გოგოლაური, ბორის გოგიჩაიშვილი და ჯიბილო ნიჟარაძე).

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა 1975 წელს.

არის საქართველოს მე-7 სპარტაკიადის ჩემპიონი (ქ. გორი, 1979), თბილისის საერთაშორისო დონის ტურნირების 2-გზის ჩემპიონი (1975 და 1977), ასევე, ვერცხლისა (1976) და ბრინჯაოს (1979) მედლების მფლობელი.

ამირან ობგაიძის სხვადასხვა სინჯის მედლები გამოფენილია თბილისში, საქართველოს სპორტის მუზეუმში.

ცხოვრობს სოფელ იგოეთში.

ჯიმშერ (ჯემალ) ხორბალაძე

დაიბადა 1948 წლის 15 თებერვალს კასპის რაიონის სოფელ დოესში. "ჭიდაობის ჯადოქარი": 1964 წელს, მეცხრეკლასელი, პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (უფროსთა შორის) და ტიტული შეინარჩუნა 1974 წლამდე, მთელი 10 წლის განმავლობაში, როცა კვლავ პირველი იყო ქართულშიცა და სამბოშიც. სპორტის ოსტატობა ეროვნულ სახეობაში მიენიჭა 1966 წელს, ხოლო სამბოში – 1967-ში. არაერთხელ მოიპოვა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" შიდასაქვეყნო და "ქარიშხალას" საკავშირო ცს-ის ჩემპიონობა.

იგი ერთადერთი მოჭიდავეა, ვისაც ჭაბუკობის შემდეგ მოზრდილებში საქართველოს ჩემპიონატებში არც ერთი მარცხი არ განუცდია და ამიტომაც ქართველმა ჟურნალისტებმა სამართლიანად შეარქვეს "ჭიდაობის ჯადოქარი".

საერთაშორისო არენაზე: 1968-1973 წლებში 4-ჯერ მოიპოვა თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორობა. 1968-1975 წლებშივე ჯერ სამბოში, მერე კი ძიუდოში იყო ყოფილი საბჭოეთის მთავარი ნაკრების წევრი. მონაწილეობდა და გახდა არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (იაპონია, ორივე გერმანია, მონღოლეთი, პოლონეთი, კორეა, საფრანგეთი...).

არის სსრკ-ის პირველობათა პრიზიორი (უფროსებში).

აქტიური საჭიდაო კარიერის დასრულების შემდეგ გადაერთო სამწვრთნელო საქმიანობაში. როგორც კვალიფიციურმა და წარმატებულმა მწვრთნელმა (გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მიიღო ამავე სასწავლებლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფაკულტეტის დიპლომიც) აღზარდა და დააკვალიანა მრავალი ჩემპიონი – შალვა და ამირან პაპინაშვილები, მორის თანანაშვილი, გიგა ხორბალაძე, ეკა რაზმაძე, რობინზონ ბეგლარაშვილი...

იგი ამჟამადაც არის კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მოქმედი მწვრთნელი, თავისივე მშობლიურ სოფელში.

დიახ, მათ უნდა ვიცნობდეთ! მათ და მათ დარ მოჭიდავეებს, ვინც საჭიდაო წრეში, ლეიბზე თუ ტატამზე ჩაუქობდნენ, გამორჩეული იყვნენ ტოლებში, საკუთარი სტილი და ნიში დატოვეს სპორტის სამყაროში.

მათი სამაგალითო სპორტსმენობა ათწლეულების შემდეგ უფრო ფასეულია, დასაფასებელი და განსაჩხრეკი. მათი სპორტული კარიერა მისაბაძია დღევანდელი თაობის სპორტსმენებისათვის.

სოფელ ხოვლეში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში ერთი წლის წინ ძიუდოს ჯგუფი (მწვრთნელი ბექა მიქუტიშვილი) გაიხსნა.

მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, სოფელ ხოვლეს მკვიდრ - ძიუდოში ვეტერანებს შორის მსოფლიო ჩემპიონთან, საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტთან უშანგი ყურაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ბავშვებს ვარჯიშის დროს ესტუმრა.

უშანგი ყურაშვილმა გასულ წელს პატარა მოჭიდავეები კიმონოებით, სამბოს ჩოხებით და სავარჯიშო სპორტული ინვენტარით დაასაჩუქრა.

მეცენატმა ქველმოქმედება ტრადიციად აქცია და ჯგუფს ამჯერად საჩუქრად ტატამი გადასცა და სამომავლო დაპირებებიც გასცა.

ვახტანგ მაისურაძემ, მწვრთნელმა ბექა მიქუტიშვილმა და მშობლებმა უშანგი ყურაშვილს მადლობა გადაუხადეს უანგარო ქველმოქმედების და ბავშვებში მოტივაციის ამაღლებისათვის, რომელიც მათ წარმატებების მიღწევაში დაეხმარება.

სოფელ დოესში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესში, ორ მონაკვეთზე გზის კეთილმოწყობის სამუშაო მიმდინარეობს.

გზაზე ასფალტ/ბეტონის საფარის დაგების წინა მოსამზადებელ სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჩაგელა" ახორციელებს.

მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ 1 047 გრძივ მეტრ გზაზე და ეზოში შესასვლელებზე მოეწყობა ასფალტ/ბეტონის საფარი.

პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პროექტის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად გაეცნო. პროექტის განხორციელება ადგილობრივებს მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფს.

სოფელ წინარეხში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში ე.წ. "ფონების" დასახლებაში მდინარე კავთურაზე გადასასვლელი ხიდის და დამცავი კედლის მოწყობის სამუშაო გრძელდება.

სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

2024 წელს მუნიციპალიტეტში მოსულმა უხვმა ნალექმა გამოიწვია მდინარე კავთურას ადიდება, რის შედეგადაც მდინარემ მოწყვიტა ე.წ. „ფონების" უბანთან დამაკავშირებელი ხიდი, საავტომობილო გზა და შექმნა გადაადგილების პრობლემები.

კაპიტალური ხიდის მშენებლობა და დამცავი კედლის მოწყობა უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

პროექტი გარდამავალია, გასულ წელს დაიწყო და 2025 წელს დასრულდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

,,ხალხი განთიადი,, იძებს ადამიანებს ფურცლებს რუბრიკის გაგზავნით ფოტომასალის შესაჯმნელად. მოგმართავთ თხოვნით - დაფოტოვეთ თქვენი ყველა მასალაში! გამოგვიგზავნეთ ადამიანებო ფოტოები!

ფეხბურთი

კასპელი მობურთალნი

(დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-5.)

პირველობაზე სულ ჩაატარეს 96 თამაში. აქედან კი მოიგეს 68 (70,8 პროცენტი), ფრედ ითამაშეს 6 (0,06 პროცენტი) და წააგეს 22 (0,30 პროცენტი). მოპოვებული იქნა 210 ქულა (72,9 პროცენტი), გატანილია 291 გოლი და საკუთარ კარში მიღებულია 133 (+158 ბურთი).

*** შიდა ქართლის მხარის პირველობებს რაც შეეხება, საერთო ინფორმაცია აქაც მწირია (გამომდინარე ისევ ევროპის ფეხბურთის ფედერაციის დებულებიდან). ისე კი, სამხარეო პირველობაში გამოდიოდა ოთხივე მუნიციპალიტეტის 12 გუნდი და მათ შორის სოფელ თელიანის გუნდმა დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი. მისი თავდამსხმელი დავით თაბუაშვილი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციამ იგი სამახსოვრო პრიზით დააჯილდოვა. აქვე, აღნიშვნის ღირსია მამა-შვილის, ზურაბ და პაპუნა ბეჟიტაშვილების, მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობა. ასევე, საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ სასირეთის გუნდს – "იმედს" სერიოზულ დახმარებას უწევს სპორტის დაწესებულებების გაერთიანება და, რაც უმთავრესია, კასპის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო. აი, ასეთი ერთობლივი თანადგომით აღნიშნულ ჯგუფს გაუკეთეს ხელოვნურსაფარიანი მოედანი, მოუწყეს გასახდელი. მიმდინარეობს სოფლის დიდი მოედნის შემოღობვითი სამუშაო.

რაც შეეხება "კასპი – 1936"-ის ბავშვთა ჯგუფს, სულ ერთი წელია, რაც მის მწვრთნელებად მუშაობენ გიორგი დაბრუნდაშვილი და გიგა გიგაური და გულს უხარია მათი მონდომებული მუშაობა, ყველანაირი სააღმზრდელო-სასწავლო მიდგომა და ხერხი დამწყებ ფეხბურთელებთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ყოჩაღმა ბავშვებმა ქ. გორში გამართულ ტურნირზე დაამარცხეს მისი მთავარი ფავორიტი და იქაური მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს.

შარშან შიდა ქართლის პირველობაზე კასპიდან მონაწილეობდა "განთიადი - 2014" (მწვრთნელი მალხაზ ჯალალი), სადაც 6-გუნდიან გათამაშებაში გუნდმა, ბორჯომის "თორის" მსგავსად, 27 ქულა მოაგროვა და ორივე გახდა გამარჯვებული.

შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციამ 2024 წლის სექტემბერში ქ. გორში ჩაატარა გამოჩენილი ფეხბურთელის, იური ცხოვრებოვის სახელობის მემორიალური ტურნირი. გამოდიოდა შიდა ქართლის ხუთი გუნდი და ერთიც ქუთაისიდან. კასპელმა ბიჭებმა დაამარცხეს გორის "ქართლისა" და "ქარელის" თანატოლები, ხოლო ფინალური შეხვედრა დათმეს გორის "დილას" გუნდთან და მე-2 ადგილი დაიკავეს.

ამავე ფედერაციის მიერ ჩატარებულ დეკემბრის ტურნირშიც ექვსი გუნდი ჩაება. შეჯიბრების ჩემპიონი გახდა "განთიადი - 2014" და შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციამ იგი დააჯილდოვა სამახსოვრო თასით, გუნდის წევრები კი ოქროს მედლებითა და პირველი ხარისხის დიპლომებით. გუნდის მწვრთნელი მალხაზ ჯალალი, უკვე მეორე წელია, შიდა ქართლის მხარის საუკეთესო ბავშვთა მწვრთნელად აღიარეს და შესაბამისი პრიზითაც დააჯილდოვეს.

***ცალკე უნდა გამოვყოთ სოფლებში მოქმედი საფეხბურთო ჯგუფები და შევაქოთ მათი მწვრთნელები:

ლამისყანაში – ვლადიმერ ბეინაშვილი (მინიჭებული აქვს უეფას "ც" კატეგორია), ოკამში – გიორგი ხოკრიშვილი (წლების განმავლობაში კასპის "განთიადის" საკვანძო მოთამაშე იყო, მონაწილეობდა უკრაინის ქ. სუდეკის საერთაშორისო ტურნირში საქართველოდან)...

აი, ასეთი გამოცდილი მწვრთნელების მიერ აღზრდილი ფეხბურთელები გამოდიოდნენ ჩვენი რაიონის ნაკრებ გუნდებში.

*** ზემოთაც ითქვა და კიდევ გავიმეორებთ, რომ საფეხბურთო სკოლას არ აკლია სათანადო ყურადღება კასპის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექციის, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელთა მხრიდან.

სპორტული წარმატებები რომ უფრო მეტი და შთამბეჭდავი იყოს საფეხბურთო მოედნებზე, გვაქვს ღრმა რწმენა იმისა, რომ საერთო მონდომებითა და მხარდაჭერით, ეტაპობრივად მოგვარდება რამდენიმე საპრობლემო საკითხი: ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე რადიოკვანძის დამონტაჟება, ელექტროტაბლოს აღდგენა-განახლება, გასახდელების მოწყობა მაყურებელთა ტრიბუნის ქვეშ, მეტი დაინტერესება და კონტროლი კასპის საფეხბურთო გუნდის მიმართ, მწვრთნელთა სწავლება-გადამზადება და შემდგომი პროფესიული დაოსტატება... ვფიქრობთ, ეტაპობრივად შესაძლებელია არსებული დიდ-პატარა ხარვეზების გადაჭრა.

გახდით ჩვენი მკითხველი

მოკლედ

✦ საფეხბურთო სკოლის გუნდი "განთიადი - 2012" (მწვრთნელი მალხაზ ჯალალი) მონაწილეობდა "მშვიდობის თასის" გათამაშებაში, სადაც 10 გუნდი გამოდიოდა.

კასპელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა "ა" ჯგუფში 4 თამაშიდან 2 მოიგეს და ამდენივე ფრედ დაამთავრეს, გაიტანეს 9 და გაუშვეს 4 ბურთი. ამდენად, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს დაუმარცხებლად.

კასპელთა ჯგუფში იყვნენ თბილისის გუნდები: "დიღომი - 2024", "პლატო" და "ინტერი - თბილისი", ასევე, ერედვის "სამაჩაბლო".

ფინალურ, გადამწყვეტ, მატჩში მისი მეტოქე იყო "ბ" ჯგუფის გამარჯვებული თბილისის "ზეკარი", რომელსაც 3 მოგებულ თამაშში ყველაზე მეტი ბურთი (19) გაეტანა, ხოლო საკუთარში იმდენივე მიეღო, რამდენიც კასპელებს.

ამგვარად, ფინალში ღირსეული მეტოქეები დაწყვილდნენ. მათი შეხვედრა ა.წ. 2 მარტს გაიმართა, გამარჯვებული ძირითად დროში ვერ გამოვლინდა.

პენალტების სერიაში წარმატებას დედაქალაქელებმა მიაღწიეს.

✦ მომდევნო თვიდან განახლდება საქართველოს პირველობა რეგიონული ლიგის გუნდებისათვის. აქ "კასპი – 1936" მეექვსე სეზონს ჩაატარებს. თებერვალ-მარტში გუნდმა რეგულარულად ივარჯიშა საკუთარ მოედანზე. მისი ბირთვი ძირითადად ახალგაზრდულია, შემადგენლობაში წელს პირველად ვიხილავთ ადგილობრივი ასაკობრივი ჯგუფებიდან დაწინაურებულ ახალბედა რამდენიმე მოთამაშეს.

14 მარტს "კასპი – 1936"-მა საკუთარ სტადიონზე ამხანაგური მატჩი გამართა მოყვარულთა ლიგის ახალფორმირებულ კლუბთან "როიალ თაიმი". შეხვედრა დამთავრდა კასპელთა გამარჯვებით

ვემშვიდობებით მეგობარს



მეორე მსოფლიო ომამდე ორი-სამი წლით ადრე და ზედ დაწყების წელს დაბადებული ბავშვები საქართველოში "ომისთაობის" სახელით მოინათლნენ და დაიზარდნენ. ასე ეთქმოდა ზემოხანდაკელი ივანე გორგაძის სიყრმის ვაჟიშვილებსაც – ილიასა და ზელიმხანს. უფროსი ძმა რვა წლისა თუ იქნებოდა, უმცროსი კი ოთხისა, როცა ფრონტელი მამა უკვე ომის მიწურულს, 1945 წლის აპრილში, ბერლინის მისადგომებთან დაეცა გერმანულ მიწაზე.

... და უმამოდ დარჩენილი ობლები კაი ყმა ქართველებად დაზარდა ჯარისკაცის ქვრივმა – ეფემია გეჯაძე-გორგაძისამ, რომელსაც, თურმე, განგება, სულაც მეტსაუკუნოვანი ხნის მანძილზე წმინდად ატარებინებდა ქართველ ქალობის დათალხულ მანდილს და საკუთარი მხრებით საუკუნის მატარებელი 106 წლისა მოიყრებოდა და, აგერ, სულ ახლახან, 2025 წლის მარტის დასაწყისში გახდებოდა უკვდავების მაზიარებელი. ოღონდ, ეს მოხდებოდა უმცროსი ვაჟიშვილის გარდაცვალებიდან სულ სამიოდე კვირისთავზე. დაილოცოს, უზენაესო, შენმიერი დედაშვილობის მადლი...

... აი, ჩვენმა გაზეთმა კი ზელიმხან გორგაძის (25.12.1941 – 12.02.2025) სახით დაკარგა ძველთაობელი ავტორი და რესპოდენტი, ერთგული და ულალატო ქომაგი – მკითხველი.

ბატონმა ზელიმხანმა წიგნისა და გაზეთის ყადრი იცოდა და მათი მადლმოსილებით იარა და იმსახურა. გახლდათ სახალხო განათლების ამაგდარი, სამეურნეო და პროფკავშირული საქმიანობის კვალიფიციური სპეციალისტი. მისეული გარჯა-გამოცდილება სათანადოდ დაფასდა კიდეც – 2003 წლის აპრილში დაჯილდოვდა "ღირსების" ორდენით. ზელიმხან გორგაძემ 1960 წელს დაამთავრა მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებელი (დეკორატიული სამუშაოების ოსტატის სპეციალობით), 1978 წელს – თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ისტორიკოსის კვალიფიკაციით). იგი ათწლეულების განმავლობაში პედაგოგობდა კასპის რაიონის სოფლების – მეტეხის, დოესისა და ზემოხანდაკის საშუალო სკოლებში. ერთ ხანობას კასპში ხელმძღვანელობდა ახალგახსნილ კინო-თეატრს, 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა სამოქალაქო თავდაცვის რაიონულ შტაბს. არჩეული იყო საჯარო დაწესებულებების პროფკავშირული რაიორგანიზაციის თავმჯდომარედ.

სახალხო განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგის, არაერთი თაობის ახალგაზრდის დამკვალიანებლის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა მისი ყოფილი მოსწავლეები საქართველოში თუ სხვაგან. მისმა შვილებმა, ზაზა და ელიზა გორგაძეებმა, თანაგრძნობის შეტყობინება მიიღეს ქ. ბაქოდან, სადაც ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწეობს აკადემიკოსი, "ვეფხისტყაოსნის" აზერბაიჯანულ ენაზე მთარგმნელი იმირ მამედლი (თავის დროზე სწორედ ზელიმხან გორგაძემ გააცნო ნიჭიერი მოსწავლე ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას).

ვემშვიდობებით ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს. განთიადელები

ნანა მერებაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს მამა ლევანს (ჯიქური) დედის მარინა მერებაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ახალი განთიადი„ მწუხარებით იუწყება მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის სპეციალისტის ნინო თათანაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76